KA070145224826514

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377
www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N02/08-1350 **20 / მარტი / 2014 წ.**

თბილისის მერიის სსიპ
„ თბილისის არქიტექტურის
სამსახურს"

N 07-13/427

05.03.2014

გაცნობებთ სამინისტროს პოზიციას თქვენი წერილით წარმოდგენილი განსახილველი საკითხების შესახებ:

მიეცეს დადებითი შეფასება:

1. **ქ. თბილისი, შანიძის ქ. N11 შენობის გამაგრების პროექტი და მშენებლობის ნებართვა AR1200499;**

2. **ქ. თბილისი, მთაწმინდის ქ. N14 მშენებლობის ნებართვა AR 1199849;**

3. **ქ. თბილისი, ხარაგაულის ჩიხი N8 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა AR 1199974;**

4. **ქ. თბილისი, ხოშტარიას ქ. N23 ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა AR 1201210;**

5. **ქ. თბილისი, ხოშტარიას ქ. N23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი AR 1200595** - შესაძლებელია ერთი სრულფასოვანი ან მანსარდული სართულის დამატება;

6. **ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N115 ჯიხურისა და ღია კაფეს მოწყობა AR 1195108** - ღია კაფეს მოწყობა შესაძლებელია ჯიხურის მოწყობის გარეშე;

7. **ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N23, ჩახრუხაძის ქ. N29 სასტუმროს განსათავსებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები AR 1199620** - დასაშვებია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა; ესკიზური პროექტით წარმოდგენილი მოცულობა და მასშტაბი მისაღებია; პროექტირების სტადიაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეზოს, როგორც ღია სივრცითი ელემენტის, კავშირი ბარათაშვილის ქუჩასთან;

8. **ქ. თბილისი, ავლაბრის ქ. N16 მრავალფუნქციური შენობის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და კ1 კოეფიციენტის გაზრდა AR 1200057** - მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა დასაშვებია; პროექტირების სტადიაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციები;

9. **ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. N7 სველი წერტილის მისაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა AR 1200909** - მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა დასაშვებია იმ პირობით, რომ ახალმშენებლობა არ გასცდება მეორე სართულზე არსებული მიშენების კონტურს;

10. ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ.N13 სახურავის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტი (AR 1135737);

11. ქ. თბილისი, ერეკლე მე-2-ის მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ.N3/36 საწყობის დემონატაჟის პროექტი და ნებართვა (AR 1196847);

12. ქ. თბილისი, გორგასლის ქ.N3/ახუნდოვის ქ.N4 შენობის ბოლო სართულზე შუშის მოაჯირის მოწყობა (AR 1200661);

<u>განმეორებით იქნეს წარმოდგენილი:</u>

1. ქ. თბილისი, ბაქრაძის მე - 2 შესახვევი N3, მშენებლობის ნებართვა (AR 1200415) - წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულფასოვანი განხილვის საშუალებას; აკლია - ფასადი და განშლა ბაქრაძის ქუჩის მხრიდან; პროექტის არქიტექტურულ-მხატვრული სახე საჭიროებს შემდგომ დამუშავებას;

2. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ.N23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი (AR 1200208) - განსახილველი მასალა არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი;

3. ქ. თბილისი, ირბახის ქ.N15-ის მიმდებარედ/ირბახის ქ.N15 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი და მშენებლობის ნებართვა (AR 1200543) - არ არის გათვალისწინებული წინა განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები; წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული პროექტი;

4. ქ. თბილისი, ოქროყანის აღმართი N10-ის მიმდებარედ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები (AR 1200424) - წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტი;

5. ქ. თბილისი, მარტყოფის შესახვევი N9ა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა (AR 1200120) - წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტი;

6. ქ. თბილისი, გორგასლის ქ.N3/ახუნდოვის ქ.N4 შენობის ბოლო სართულზე ტენტის ტიპის სახურავის მოწყობა (AR 1200690) - წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულყოფილი განხილვის საშუალებას, დასამატებელია თვალსაჩინო მასალა - ახალი კონსტრუქციების სრული ნახაზები და ფოტომონტაჟები ხედვის სხვადასხვა წერტილებიდან;

7. ქ. თბილისი, გერგეთის შესახვევი, გაზსადენი მილის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა (AR 1201762) – წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულყოფილი განხილვის საშუალებას; დასამატებელია საილუსტრაციო მასალა, ფოტომონტაჟები;

8. ქ. თბილისი, ტერენტი გრანელის შესახვევი N10 მშენებლობის ნებართვა (AR 1194645) - წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულყოფილი განხილვის საშუალებას;

9. ქ. თბილისი, კალატოზის შესახვევი N1 საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები AR 1194228 - ესკიზური პროექტი უნდა დამუშავდეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით;

10. ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. N7 არსებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (დაშენება) პროექტი და მშენებლობის ნებართვა AR 1198266 - ეზოში დამატებით ორი შენობა იგება, რეკომენდებულია, ერთიანი (ხედები, რენდერები) განშლის წარმოდგენა.

11. ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N121 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (მიშენება) მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა AR 1201085 -წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულფასოვანი განხილვის საშუალებას; არ არის გათვალისწინებული წინა განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები;

12. ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. N47 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (მიშენება) მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა AR 1195771 - წარმოდგენილ იქნეს ესკიზური პროექტი

სხვაგვარი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით;

<u>უარი ეთქვას:</u>

1. **ქ. თბილისი, ბესიკის ქ.N4-ის მიმდებარედ მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციის ტენტით გადახურული ტამბურის მოწყობა სარეკლამო ბანერით** (AR 191384) - საზოგადოებრივი სივრცის ათვისება არ არის მიზანშეწონილი;

2. **ქ. თბილისი, სამღებროს ქ.N6-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობა** (AR 1201546);

3. **ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ.N4, სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა** (AR 1199786) - არ არის მიზანშეწონილი საზოგადოებრივი სივრცის ათვისება;

4. **ქ. თბილისი, გოგებაშვილის ქ. N37 ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატება**

(AR 1201001) - არ არის მიზანშეწონილი ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა;

- რაც შეეხება **ქ. თბილისში, პუშკინის ქ. N15 რეკონსტრუქციის პროექტის** (AR 1201417) საკითხს - გაცნობებთ, რომ უკვე განხორციელებული მშენებლობის პროექტის განხილვა არ შედის სამინისტროს კომპეტენციაში. მიგვაჩნია, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს თქვენი სამსახურის მიერ ისევე, როგორც ბოლო წლების განმავლობაში არაერთ მსგავს პროექტთან დაკავშირებით მოხდა;
- აგრეთვე, **ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ.N2,N3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ/თარხნიშვილის ქ. N2 დემონტაჟის პროექტთან** (AR 1159934) დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ, ვინაიდან მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემულია, დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სცილდება სამინისტროს კომპეტენციას;
- ასევე გაცნობებთ, რომ სამინისტრო უახლოს მომავალში დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას თავისი პოზიციის შესახებ, **ქ. თბილისში, ღამბაშიძის ქ. N3-ში საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციისა (განაცხადი - AR1200985) და ასათიანის ქ. N35, ჯაფარიძის ქ. N22-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის (განაცხადი - AR1200114)** საკითხებთან დაკავშირებით;
- და ბოლოს, **თბილისში, კოსტავას ქ.N44-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტსა და მშენებლობის ნებართვასთან**(AR 1194313) დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ ინფორმაცია სამინისტროს პოზიციის შესახებ თქვენთვის უკვე იქნა გადმოგზავნილი **(იხ. წერილი N 02/08-898, 21.02.2014).**

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე მარგიშვილი